KA011870907219019

17 / ივნისი / 2019 წ.

№ 128467

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,
როგორც მოგეხსენებათ ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე (საკ.კ.86.03.21.232) მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა.
მიმდინარე წლის 7 მაისს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ (შემდგომში „სააგენტო“) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) სახელზე წარადგინა განაცხადი № 1/10457, რომლითაც სააგენტო ითხოვს ქ. ამბროლაურში მშენებარე საზოგადოებრივი ცენტრისათვის წყალშემყვანი მილის მოწყობას, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის № 32 დადგენილებაში განსაზღვრული პირობებით. აღნიშნულ განაცხადში სააგენტოს მიერ მოთხოვნილია d=32 მმ წყალშემყვანი მილის მოწყობა, რისთვისაც სააგენტომ, ამავე დადგენილების მე-181 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებისათვის წინასწარ გადაიხადა 825 ლარი.
აქვე მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილება გარკვეული ტიპის ობიექტებისათვის ითვალისწინებს სახანძრო ჰიდრანტის მოწყობის აუცილებლობას. ამ ტიპის ობიექტებს მიეკუთვნება საზოგადოებრივი ცენტრები. იმის გამო, რომ სააგენტოს მიერ №1/10457 განაცხადით მოთხოვნილი სიმძლავრე ტექნიკურად ვერ უზრუნველყოფს ჰიდრანტის მოწყობის შესაძლებლობას, მიმდინარე წლის 10 ივნისს სააგენტოს მიერ კომპანიის სახელზე გაიგზავნა წერილი განაცხადის შეჩერების თხოვნით. 2008 წლის 26 ნოემბრის № 32 დადგენილებით d=63 მმ წყალშემყვანი მილის, რომელიც ტექნიკურად იძლევა სახანძრო ჰიდრანტის მოწყობის შესაძლებლობას, ღირებულება შეადგენს 3400 ლარს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს 875 (რვაას სამოცდა თხუტმეტი) ლარის გადარიცხვა კომპანიის საბანკო ანგარიშზე, რითაც ჯამურად სააგენტოს მიერ გადახდილი იქნება მოსათხოვი სიმძლავრის შესაბამისი საფასურის 50%, რის შემდეგაც სააგენტოს მხრიდან მოხდება ახალი განაცხადის წარდგენა d=63 მმ წყალშემყვანი მილის მოწყობის მოთხოვნით.

დანართი: 1. შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო რეკვიზიტები.

შესყიდვების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარინე გვრიტიშვილი